<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, უდაბნოს მონასტრის III შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ისტორიკოსის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


N
1:1,000
X:480407 Y:4629920
I ملف
X:480500 Y:4629891
ملف الإحداثيات الجغرافية لـ
X:480375 Y:4629942
ملف الإحداثيات الجغرافية لـ
X:480474 Y:4629941
X:480462 Y:4629963
X:480608 Y:4629928

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდების და სიმბოლიკის კომისიის

თავ-რე ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ. [illegible] /ბინა [illegible]
[illegible]/
მის. ქ. თბილისი, [illegible] ქ. №14-ბ

ტელ 555.35.44.33

პნ 01024064256

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible] საკუთრების ნაკვეთის ს/კ-01.72.14.006.432, რომელიც [illegible] [illegible] [illegible], ასევე მის მიმდებარე რამდენიმე მიწის ნაკვეთი /01.72.14.006.427; 01.72.14.006.892; და ა.შ./ არ [illegible] მუნიციპალური მისამართი, რის გამოც [illegible] [illegible] პრობლემებს, კერძოდ ვერ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ვერ [illegible] [illegible] [illegible] და ა.შ.

გთხოვთ, [illegible] ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მისამართები.

წერილს თან ვურთავ ბინა [illegible] [illegible], მის და ბინათმესაკუთრეთა-ამხანაგობის [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

12.10.2022

ბინათმესაკუთრეთა თავმჯდომარე: [signature]

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

35277589728522

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220467410

რეგისტრაციის თარიღი

27.04.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.№ 77-ბ.

პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ქვრივის

პროფესორ ნათელა კაპანაძის

პ/ნ: 01024000839

ტ: 599 57 25 89

თხოვნა

ბატონო გიორგი, გთხოვთ განიხილოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ინსტიტუტუტის ხელმძღვანელთა და მეცნიერ თანამშრომელთა თხოვნა.

03.05.2023

ქალაქ ბილისის საკრებულოს

ცნობილი ქართველი სწავლული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მიხეილ გაფრინდაშვილი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანში 1927 წლის 27 იანვარს. დაამთავრა სოფელ აფენის საშუალო სკოლა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასპირანტურა, მიიღო ჯერ მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

პროფესორი მიხეილ გაფრინდაშვილი მუშაობდა თბილისის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგედ, ქალაქის საბჭოს დეპუტატად, საქართველოს ტელევიზიაში მთვარ რედაქტორად, ტელე-რადიო კომიტეტის კოლეგიის წევრად; სამი წელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის, ხოლო 17 წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგედ.

პროფესორი მიხეილ გაფრინდაშვილი იყო საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა, ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიების ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი და თანაპრეზიდენტი, საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის ცენტრის დირექტორი.

პროფესორი მიხეილ გაფრინდაშვილი ასოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან უმეტესობა ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მათ შორის უნდა აღინიშნოს „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები“ (ოთხ ტომად), „ქართული განმანათლებლობა“ (ორ წიგნად ქართულ და რუსულ ენებზე), „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“ (ორ ტომად), „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის დამდეგამდე“ და სხვა. ამ გამოცემებმა უკვე ჰპოვეს აღიარება როგორც სპეციალისტთა, ისე მკითველთა შორის და ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილს ფართო ჰუმანიტარული განათლება გააჩნდა. თავის ღრმა ცოდნასა და გამოცდილებას იგი უშურველად უზიარებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა არაერთი უმაღლესი სასწავლების სტუდენტებს საქართვეოს ისტორიის, პოლიტოლოგიის, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის სალექციო კურსებისა თუ სპეცკურსების სახით. მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და მეცნიერებაში საიმედოთ შემოაბიჯა ორ ათეულამდე ახალგაზრდა ისტორიკოსმა.

მიხეილ გაფრინდაშვილი გარდაიცვალა 1999 წლის 25 იანვარს, დასაფლავებულია საბურთალოს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მის

მშობლიურ სკოლას, სადაც ის სწავლობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აფენის N1 საშუალო სკოლას მინიჭებული აქვს პროფესორ მიხეილ გაფრინ-დაშვილის სახელი.

გთხოვთ პროფესორისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელი ეწოდოს თბილისში რომელიმე პატარა ქუჩას ან სკვერს.

პატივისცემით:

..... აკადემიკოსი როინ მეტრეველი

..... აკადემიკოსი ავთანდილ არაბული

..... აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯაბა სამუშია

..... პროფესორი გონელი არახამია

..... პროფესორი გიორგი ჭეიშვილი

..... პროფესორი ვალერი ვაშაკიძე

..... პროფესორი ოთარ ჟორდანია

..... პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

..... პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი

..... პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი

..... პროფესორი პაატა სურგულაძე

..... პროფესორი ოთარ ჯანელიძე

..... პროფესორი ვახტანგ გურული

..... პროფესორი დიმიტრი შველიძე

..... პროფესორი მიხეილ ბახტაძე

..... პროფესორი დურმიშხან ლაშხი

წერილის ნომერი: **03-0323080132**
თარიღი: **21/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ვახტანგ შამანაურის 2022 წლის 13 ოქტომბრის საქმე #19/032228641-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს N 01.72.14.006.427 და 01.72.14.006.892 საკადასტრო ერთეულებთან გამავალი უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გიგზავნით ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალის სამ შესაძლო ვარიანტს და მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ქალაქგეგმარებითად შესაბამისი სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 8 (რვა) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230942000**
თარიღი: **04/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92.

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 21.03.2023 წლის #03-0323080132 (21.03.2023 წ. #14-01230803511-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მიხეილ გაფრინდაშვილი

(1927-1999)

ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1949 წელს ასპირანტურა ისტორიის — სპეციალობით.

1948-1955 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1955-1961 წლებში იყო პარტიულ სამუშაოზე; 1961-1964 წლებში იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; 1964 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1983 წლიდან დირექტორის მოადგილე; 1972-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელერადიოკომიტეტში; 1976-1983 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგედ; იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების ერთ-ერთი ავტორი (მე-4 და მე-5 ტომები), რისთვისაც 1982 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

მიხეილ გაფრინდაშვილის უკანასკნელი ნაშრომი "ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე", ხელნაწერის სახით დარჩა და გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ. იკვლევდა ქართული კულტურის, ისტორიის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და თეორიის პრობლემებს.